რობერტ დალი

პოლიარქია, პლურალიზმი და სივრცე



რობერტ ალან დალი (1915-2014)

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი. მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა პოლიტიკური მეცნიერების ამერიკულ ასოციაციას. პლურალისტური დემოკრატიის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ფართოდაა ცნობილი მისი ნაშრომები "დემოკრატიული თეორიის შესავალი" (1956), "თანამედროვე პოლიტიკური ანალიზი" (1964), "პოლიტიკური ოპოზიციები დასავლურ დემოკრატიებში" (1966), "პლურალისტური დემოკრატია აშშ-ში" (1967), "პლურალისტური დემოკრატიის დილემები" (1982) და სხვა. დალი განიხილავს პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაციის პრობლემებს, დემოკრატიის წანამძღვრებს, თავისუფლების, თანასწორობისა და დემოკრატიის ცნებების თანაფარდობას.

დემოკრატიის წარმოშობის ბუნების კვლევისას დალი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მისი წარმოშობა არის ხანგრძლივი და დროდადრო წინააღმდეგობრივი პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში დემოკრატიული პრინციპების შეღწევისა. მაგრამ დემოკრატია ნებისმიერ საზოგადოებაში არ წარმოიშობა. არ შეიძლება მისი ინტერპრეტაცია როგორც აბსოლუტურისა და საყოველთაოსი, რომელსაც ყველასთვის აქვს ძალა.

დალი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ დემოკრატია არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება, ე.ი. როგორც ინსტიტუციონალური პრობლემა. პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირება მხოლოდ პოლიტიკური პროცესის "აისბერგის" წყალზედა ნაწილია. დემოკრატიის იდეალი გულისხმობს შინაგან კავშირს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პლურალისტურ საზოგადოებრივ მოწყობას შორის. სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ორგანიზაციების, გაერთიანებების, ჯგუფების, ასოციაციების და ა.შ. დიდი რაოდენობაა მოქცეული, რომლებიც განსხვავებული ადამიანების სხვადასხვა მისწრაფებებსა და ინტერესებს გამოხატავენ.

დალი მიდის დასკვნამდე, რომ დემოკრატიის იდეალის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ პლურალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოწყობის პირობებში. ესაა მისი ერთ-ერთი მთავარი თეზისი, რომელსაც განუწყვეტლივ იცავს მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე.

დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი პირობა პლურალისტების აზრით, არის ხელისუფლების "დისპერსია". მის ქვეშ ესმით რაიმე მიზნის მიღწევა სხვებთან კონკურენციის პირობებში.

დალი შეშფოთებას გამოთქვამს პლურალისტურ მოდელში "ძალთა ბალანსის" დარღვევის გამო. ესაა შედეგი პოლიტიკურ სცენაზე წარმოდგენილი საზოგადოებრივი ძალების პოლიტიკური პოტენციალის უთანასწორობისა. დალი აღნიშნავს უთანასწორობის სამ ძირითად ფორმას:

- "განსხვავება რესურსებსა და შესაძლებლობებში ძალადობრივი იძულების გამოსაყენებლად,
- განსხვავება ეკონომიკურ მდგომარეობაში, რესურსებსა და შესაძლებლობებში და ბოლოს,
- ცოდნის, ინფორმაციის და შემეცნებითი შესაძლებლობების სფეროში".

დალი მიიჩნევს, რომ თანამედროვე პირობებში პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე სტაბილური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია არა იმდენად დემოკრატიული, რამდენადაც პოლიარქიული რეჟიმები. პოლიარქია არის სახელმწიფოს მართვა მრავალთა მიერ, საპირისპიროდ მონარქიისა. ეს ტერმინი დალის ლიბერალური თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. პოლიარქია განიხილება რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისით: როგორც რეჟიმის ტიპი; როგორც ერი-სახელმწიფოების დემოკრატიზაციის პროდუქტი; როგორც დემოკრატიული პროცესის აუცილებლობა; როგორც კომპეტენციის შემოწმების სისტემა; როგორც პოლიტიკური კონტროლის სისტემა; როგორც უფლებათა სისტემა.

პოლიარქიისათვის დამახასიათებელია შვიდი რეალურად ფუნქციონირებადი ინსტიტუტის არსებობა: 1. საარჩევნო უფლება; 2. საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლება; 3. სამართლიანად ორგანიზებული არჩევნები; 4. საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვა; 5. ინფორმაციის ალტერნატიული და კონკურენციული წყაროების არსებობა; 6. ავტონომიური ორგანიზაციების, პარტიების და ა.შ. შექმნის უფლება; 7. მთავრობის დამოკიდებულება ამომრჩევლებსა და არჩევნების შედეგებზე.

პოლიარქია, პლურალიზმი და სივრცე

დემოკრატიის ადგილმდებარეობის ისტორიულმა ცვლილებამ მცირე ქალაქ-სახელმწიფოებიდან მსხვილი და გიგანტური ნაცია-სახელმწიფოებისაკენ როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ხასიათის ძვრები გამოიწვია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თეორია მანამდე სრულ თანხმობაში იყო პრაქტიკასთან. მე-18 ს-ის ბოლოს ქალაქ-სახელმწიფოების შესწავლა, რომელიც ორ ათასწლეულზე მეტი ხნის მანძილზე განიხილებოდა ბუნებრივ და განსაკუთრებით სასარგებლო წყობილებად დემოკრატიული სისტემისთვის - ამ შეხედულებას ჯერ კიდევ იცავდა რუსო თავის „საზოგადოებრივ შეთანხმება“-ში (1762), თითქმის საყოველთაოდ განდევნილი აღმოჩნდა ნაცია-სახელმწიფოების შესწავლის შედეგად, ხოლო დემოკრატიულ ძალისხმევას, იდეებსა და იდეოლოგიებს თავისი სიმძიმის ცენტრი ნაცია-სახელმწიფოების მართვის დემოკრატიზაციის პრობლემისკენ უნდა გადაეტანათ.

თუმცა ამ ცვლილების შედეგები არ იქნა გათვალისწინებული მთელი თავისი მასშტაბით. მე მინდა აღვნიშნო შვიდი ამგვარი მნიშვნელოვანი შედეგი:

1. წარმომადგენლობა. ყველა მოქალაქის ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის წარმომადგენლობის ერთად მოკრების პრაქტიკულად განუხორციელებლობის გამო, რომელიც რუსომ ანათემას გადასცა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, გარდაუვალი გახდა პოლიტიკური სისტემის სივრცის გაფართოება.

2. სივრცის გაფართოება. როგორც კი წარმომადგენლობის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ქალაქ-სახელმწიფოების მიერ შექმნილ დემოკრატიულ ალიანსთან დაკავშირებული ბარიერები მოიხსნა და, ამრიგად, წარმომადგენლობით დემოკრატიას შეეძლო უსაზღვროდ გაეფართოებინა თავისი მოქმედების სივრცე.

3. მონაწილეობის საზღვრები. როგორც გაზრდილი სივრცის პირდაპირი შედეგი, პოლიტიკური მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა უფრო მეტად შეზღუდული აღმოჩნდა, ისევე როგორც მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს ქალაქ-სახელმწიფოებში არ შეეძლო ერთმანეთში განეხილა პოლიტიკური საქმეები. იმ შემთხვევაშიც კი თუ სივრცობრივი (ანუ კო-

მუნიკაციური) ბარიერები დაიძლეოდა ელექტრონული საშუალებებით, დროის მიერ დადგენილი საზღვრები საკმაოდ ხისტი იქნებოდა. თქვენ ადვილად დარწმუნდებით ამ საზღვრების არსებობაში, თუკი მარტივ არითმეტიკულ გამოთვლას მიმართავთ. დაითვალეთ რამდენ დროს წაიღებდა იმ პოლიტიკური ზომების რეალიზაცია, რომელიც ყველაზე მეტად ეფექტურად შეიძლება ჩაითვალოს მონაწილეობის პროცესის განხორციელების დროს.

4. მრავალფეროვნება. თუმცა სივრცესა და მრავალფეროვნებას შორის კავშირი არ არის მკაფიო, მაგრამ უეჭველია, იმ ზომით, რა ზომითაც პოლიტიკური კავშირები გაიზრდება მოცულობით, ამ პოლიტიკაში მონაწილენი უფრო მეტ მრავალფეროვნებას გამოავლენენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს იქნება მრავალფეროვნება ადგილობრივი და რეგიონული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, იდეოლოგიური, პროფესიული და სხვ. მოქალაქეთა ჰომოგენურ დასახლებებს რაც შეეხება, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო ენით, რასით, ისტორიით და რელიგიით, იქ ეს მრავალფეროვნება შეუძლებელია ყველა პრაქტიკული პარამეტრის მიხედვით.

5. კონფლიქტი. ამრიგად, პოლიტიკურ ფენებად დაყოფა გარდაუვალი ხდება, ხოლო პოლიტიკური კონფლიქტი პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. და როგორც პოლიტიკური აზრი, ასევე პოლიტიკური პრაქტიკაც კონფლიქტს აღიქვამს პოლიტიკური ცხოვრების ნორმალურ დამახასიათებელ ნიშნად. რამდენადაც ინტერესთა კონფლიქტის ფესვები ადამიანისა და საზოგადოების ბუნებაში ძევს, ხოლო ამ კონფლიქტების ჩახშობა შეუძლებელია ადამიანის თავისუფლების ჩახშობის გარეშე. ამდენად საუკეთესო მეთოდი ამგვარი კონფლიქტების პრევენციისთვის - სივრცის გაფართოებაა. ამ დროს პოლიტიკური კონფლიქტები იშვიათად გადაიზრდება ხოლმე მწვავე სამოქალაქო ომებში.

მეექვსე და მეშვიდე შედეგები, რომლებიც სივრცის ცვლილებას და დემოკრატიის ადგილს უკავშირდება, არის პოლიარქია და ორგანიზაციული პლურალიზმი, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

ტერმინი. რამდენადაც ტერმინ „პოლიარქიას“ არ გააჩნია თავიდანვე განსაზღვრული მნიშვნელობა და მეც გარკვეული ეჭვები აღმეძვრის, როცა იგი მიმოქცევაში შემომაქვს, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვით მის წარმოშობაზე შევჩერდე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თანამედროვე

პოლიტიკურ მეცნიერებაში ეს ტერმინი პირველად ლინდბლომმა[1] და მე გამოვიყენეთ (წიგნში „პოლიტიკა, ეკონომიკა და კეთილდღეობა“, 1953), სადაც მას განვიხილავდით როგორც პროცესს.

პოლიარქიის პროცესად განხილვა წიგნის თეორიული ორიენტაციისადმი გაღებული ხარკი იყო, წიგნისა, რომლის ქვესათაურიც ასე ჟღერდა: „დაგეგმარება და პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემები ბაზისურ სოციალურ პროცესებში“. მეოთხე ნაწილში ჩვენ აღვწერეთ „ოთხი მთავარი სოციალურ-პოლიტიკური პროცესი“: ლიდერთა მიერ განხორციელებული კონტროლი და თავად ლიდერთა კონტროლი. იერარქია ანუ ლიდერთა მხრიდან კონტროლი; პოლიარქია ანუ ლიდერების კონტროლი, დაბოლოს, გარიგება ანუ კონტროლი ლიდერთა შორის (ე.ი. ლიდერების მიერ ერთმანეთის კონტროლი).

სოციალური პროცესების სისტემას, რომელიც ამას შესაძლებელს ხდის, ჩვენ დავარქვით პოლიარქია. ეს სიტყვა გამოსულია ხმარებიდან, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი სრულად პასუხობს ჩვენს მოთხოვნას. დემოკრატიის მსგავსად, პოლიარქიაც, როგორც რეჟიმის ტიპი, შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა კუთხით. უპირველეს ყოვლისა პოლიარქია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რეჟიმის სპეციფიკური სახეობა თანამედროვე სახელმწიფოს მართვისთვის, რომელიც თავისი ნიშან-თვისებებით განსხვავდება მე-19 ს-მდე არსებულ ყველა სხვა რეჟიმისგან. ასევე განსხვავდება იგი თანამედროვე რეჟიმების უმრავლესობისგანაც, რომლებიც ნაცია-სახელმწიფოებში არსებობს. ეს განსხვავება ორი სხვადასხვა ნიშან-თვისების შეპირისპირებით წარმოიშობა: ესენია ოპოზიციისადმი შემწყნარებლობის მაღალი ხარისხი და ხელისუფლების ქცევებზე გავლენის მოხდენის ფართო შესაძლებლობა და მშვიდობიანი გზით რომელიმე ოფიციალური პირის გადაყენებაც კი.

უფრო მკაფიოდ პოლიარქიები სხვა რეჟიმებისგან შეიძლება გავარჩიოთ შვიდი ინსტიტუტის არსებობითა და მათი რეალური ფუნქციონირებით. ეს ინსტიტუტებია: დღესდღეობით ფართოდ გავრცელებული უნივერსალური უფლება არჩევისა; საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება; სამართლიანად ორგანიზებული არჩევნები, სადაც გამორიცხული იქნება ყოველგვარი ძალადობა თუ იძულება; აზრის გამოხატვის თავისუფლების საიმედო დაცვა (მთავრობის, გაბატონებული იდეოლოგიის, საზოგადოების კრიტიკის ჩათვლით); ალტერნატიული

და ერთმანეთის კონკურენტული საინფორმაციო წყაროების არსებობა, რომელიც სამთავრობო კონტროლის მიღმაა; თავისუფლების მაღალი ხარისხის არსებობა სხვადასხვა ავტონომიური ორგანიზაციების შექმნისას, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების შექმნის ჩათვლით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია; მთავრობა მაქსიმალურად უნდა იყოს დამოკიდებული ამომრჩევლების ნებაზე და ეს ნაცია-სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროდუქტია.

ჩვენი დემოკრატი წინაპრები არცთუ ისე უგუნურები იყვნენ. მათ იცოდნენ რას აკეთებდნენ, მიისწრაფოდნენ რა საყოველთაო არჩევნების, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღებისა და სხვ. უფლებების რეალიზაციისკენ. თუმცა თქმა იმისა, რომ პოლიარქიული ინსტიტუტების არსებობა აუცილებელია გაფართოებულ სივრცეში დემოკრატიული პროცესის განხორციელებისთვის, არ ნიშნავს იმის თქმას, რომ ისინი საკმარისია და, ჩემი აზრით, არცთუ ისე ბევრი ჩვენგანი ფიქრობს ასე. პოლიარქია შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც პოლიტიკური სისტემის კონტროლი, რომელშიც უმაღლესი ოფიციალური პირები სახელმწიფოს მმართველობის დროს სახალხო არჩევნების შედეგად გადარჩევის საშიშროების წინაშე დგებიან.

ამიტომ ისინი იძულებულნი არიან საკუთარი ქცევების ვარირებას მიმართონ, თუკი სხვა კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება სურთ. ამ თვალსაზრისით, პოლიარქიის ყველაზე ნათელი ნიშან-თვისება პოლიტიკური ელიტის ღია შეჯიბრია თანამდებობისთვის.

დაბოლოს, პოლიარქიის ინტერპრეტირება შესაძლებელია როგორც სისტემისა, რომელშიც უფლებები ინსტიტუციონალურად არის გარანტირებული და დაცული. თითოეული ამ შვიდ ინსტიტუტთაგან უზრუნველყოფს შესაბამისი უფლებების დაცვას, რაც ამართლებს მის არსებობასა და ფუნქციონირებას.

სათაურები. პოლიარქიის მსგავსად, ტერმინი „პლურალიზმი“, რომელსაც დღეს ვიყენებთ, პოლიტიკურ მეცნიერებაში ნეოლოგიზმს წარმოადგენს. საინტერესო იქნება ვნახოთ, როგორ არის ის განმარტებული ოქსფორდის ლექსიკონში. მეშვიდე ტომში მოთავსებული სტატია პლურალიზმზე პირველად 1907 წელს გამოქვეყნდა. მასში პლურალიზმი ნიშნავს „პლურალურად არსებობის საშუალებას; პლურალური არსებობის პირობას ან ფაქტს. 1ა. (საეკლ.) ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე ად-

ამიანის მიერ სხვადასხვა მრევლის წევრობა; ბ. ნებისმიერი სახის ორი ან მეტი თანამდებობის შერევა ერთსა და იმავე დროს; (...) 2. (ფილოს.) თეორია ან აზროვნების სისტემა, რომელიც აღიარებს ერთზე მეტ მთავარ პრინციპს: საპირისპიროა მონიზმისა. ამ ტერმინის რელიგიური მნიშვნელობით გამოყენებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს - ყველაზე ძველი წყარო, სადაც იგი ამ გაგებით გვხვდება, 1362 წელს განეკუთვნება. თუმცა მე-19 ს-ში კვლავ განახლდება კამათი ამერიკის ეკლესიაში პლურალიზმის მართლზომიერების შესახებ.

სახელმწიფოსა და საზოგადოების პლურალისტურ ინტერპრეტაციებს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა 20-იანი წლების დამდეგს არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ შეერთებულ შტატებშიც, სადაც ზოგიერთმა ცნობილმა პოლიტოლოგმა ეს ინტერპრეტაციები დეტალურად გამოიკვლია პროფესიული ჟურნალების ფურცლებზე. პლურალიზმისადმი ათწლიანი ყურადღება ნელ-ნელა მიინავლა ატლანტიკის ორივე მხარეს. თუმცა თავად ტერმინი და მასთან დაკავშირებული ძირითადი იდეები ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ეს ტერმინი საკმაოდ გავრცელებული იყო იმ დროსაც, როცა ლინდბლომთან ერთად ვმუშაობდი წიგნზე „პოლიტიკა, ეკონომიკა და კეთილდღეობა“ (1950-1952 წლებში). ჩვენთვის ახლობელი იყო როგორც ბრიტანული და ევროპული იდეები პლურალიზმზე, ასევე თავად ეს ტერმინი და გამოვიყენეთ იგი იმის ასახსნელად, თუ რას ვგულისხმობთ პოლიარქიაში. პოლიარქია ნიშნავს სოციალური პლურალიზმის მნიშვნელოვან ხარისხს ანუ სოციალურ ორგანიზაციათა მრავალფეროვნებას, რომლებიც ავტონომიას ინარჩუნებენ ერთმანეთის მიმართ.

როგორც პოლიარქიის განვითარება ნიშნავდა დემოკრატიული ინსტიტუტების ახლებურად გააზრებას, ასევე პლურალიზმის თანდათანობითი აღქმა, როგორც დემოკრატიის ორგანული და აუცილებელი ასპექტისა, მასთან დაკავშირებული კლასიკური წარმოდგენების უგულებელყოფას ნიშნავს. თუმცა წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს შეუძლიათ სხვადასხვა ღვთაების თაყვანისცემა, სხვადასხვა ენაზე მეტყველება და ა.შ., რაც კონფლიქტური ინტერესების ერთიან კონსტრუირებას ნიშნავს, - აღქმული იქნებოდა ვითარცა ერესი. როგორც ამას ჯერ კიდევ არისტოტელე აღიარებდა და როგორც ამ ასიოდე წლის წინ იტალიელ ჰუმანისტთა მიერ წამოყენებულ vivere civile-ს[2] კონცეფციაში იქნა და-

საბუთებული, მოქალაქეები უნდა იყვნენ სხვადასხვა ასოციაციების წევრნი, რომლებსაც სხვადასხვა სპეციფიკური მიზნები აქვთ. ამ ასოციაციების კერძო მიზნები შეიძლება კონფლიქტში მოვიდნენ სხვა ასოციაციების მიზნებთან, მაშინ, როცა ასეთ შემთხვევებში კერძო და ზოგად ინტერესებს შორის ურთიერთშეთანხმება სასურველი იქნებოდა.

პლურალიზმი და პოლიარქია. მონისტური შეხედულება, რომელიც რუსოსთვის იყო დამახასიათებელი, სავსებით შეთავსებადია დემოკრატიასთან ქალაქ-სახელმწიფოების მცირე მასშტაბების გამო, სადაც ძირითადად სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო დარგები მოქმედებს. თავისი მასშტაბით არცთუ ისე დიდ დემოკრატიულ ასოციაციებში სხვა მცირე ასოციაციების არსებობა, რომლებიც ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, კონფლიქტის სტიმულს იძლევიან, რაც არ არის სასურველი და თავიდან უნდა იქნეს აცილებული რამდენადაც ეს შესაძლებელია. თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ეს დემოკრატიული იდეა განხორციელდეს ნაცია-სახელმწიფოს მასშტაბით, რის შედეგადაც ფუნქციონირებას დაიწყებს პოლიარქიის ინსტიტუტები.

ამ შემთხვევაში ვითარდებიან შედარებით დამოუკიდებელი მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი ასოციაციები და ორგანიზაციები. ჩვენ ისინი როგორც პოლიტიკურ, ასევე სამოქალაქო ასოციაციებად უნდა განვიხილოთ, რადგან სამოქალაქო ასოციაციას პოლიტიკური აქტივობის განხორციელებაც შეუძლია. რასაკვირველია, არ არსებობს ისტორიული მაგალითი, როცა პოლიარქია და ორგანიზაციული პლურალიზმი არ არსებულა ერთად. მაგრამ იმ დროს, როცა ორგანიზაციული პლურალიზმი შეიძლება არც იყოს საკმარისი პირობა პოლიარქიისთვის, თვით პოლიარქიის ინსტიტუტები თვითკმარია იმის უზრუნველსაყოფად, რომ დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ხარისხის მქონე ამ მრავალრიცხოვანმა ორგანიზაციებმა და ასოციაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ორგანიზებული კოოპერაციის უპირატესობა სასურველს ხდის ამ ორგანიზაციებს. მართლაც, შედარებით ავტონომიური პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა აუცილებელია მსხვილმასშტაბიანი დემოკრატიის არსებობისთვის.

დაბოლოს, პოლიარქიის არსებობისთვის აუცილებელი პირობები შესაძლებელს ხდის დამოუკიდებელი ორგანიზაციების არსებობას კანონის თვალსაზრისით. ის, რომ მათი არსებობა სასურველია და შესაძლებე-

ლი, მათ არსებობას გარდაუვალს ხდის. ეს განამტკიცებს თავისუფლების პირველ, ჯერ კიდევ სუსტ, ყლორტებს, რომლებიც ავტორიტარულ რეჟიმებში წარმოიშობა კონტროლის შესუსტების კვალობაზე. ამას მოწმობს იტალიის, ავსტრიის, გერმანიისა და იაპონიის მაგალითები მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. ასევე ჩეხოსლოვაკიის შემთხვევა 1968 წელს, პოლონეთი „სოლიდარობის“ ზეობის ხანაში და სხვ. დამოუკიდებელ ინსტიტუტთა ჩახშობა მხოლოდ თვით პოლიარქიის ინსტიტუტების ჩახშობით არის შესაძლებელი.

საკმარისია დავაკვირდეთ პოლიტიკურ სისტემებსა და პროფკავშირებს ორ ქვეყანაში, რათა დავინახოთ რა სხვაობებია მათ შორის. ცხადია, რომ ევროპული ქვეყნების პოლიტიკური სისტემებიც კი ძალზე მრავალფეროვანია. ორგანიზაციული ცხოვრების ამგვარი განსხვავებები პლურალიზმსა და პოლიარქიას შორის გართულებულ ურთიერთობებთან არის დაკავშირებული. თუკი პლურალიზმი პოლიარქიის სისტემაში აუცილებელი, სასურველი და გარდაუვალია, მას არასასურველი ზემოქმედების მოხდენაც შეუძლია. თუკი, მაგალითად, ერთი სახეობის ინტერესები შეიძლება აკუმულირებული იყოს რომელიმე ორგანიზაციაში მისი რესურსების გათვალისწინებით, სხვა ინტერესები კი - არა, მაშინ ამგვარი სისტემა ხელს შეუწყობს უთანასწორობას მოქალაქეთა შორის და ზოგიერთი სახეობა ამ უთანასწორობისა შეიძლება ძალზე უსამართლო იყოს. ანუ უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც ასე ძალიან აღელვებდა რუსოს.

ოციოდე წლის წინ ს. როკანმა[3] გამოაქვეყნა ნარკვევი ნორვეგიის შესახებ, რომლის მთავარი აზრის ჩამოყალიბება მისივე სიტყვებით არის შესაძლებელი: „მრავლობითი დემოკრატია და კორპორაციული პლურალიზმი: ხმები ითვლება, მაგრამ გადამწყვეტია რესურსები“. კაბინეტი, წერდა იგი, „ელექტორალური იერარქიის მწვერვალზე იმყოფება, მაგრამ იგი ოთხ კორპორაციულ კავშირთაგან, რომლებიც ერთმანეთთან თანხმდებიან, მხოლოდ ერთ-ერთია“. დანარჩენ სამში ის, რასაკვირველია, შრომას, ბიზნესსა და ფერმერებს მოიაზრებდა. იგი განაგრძობს: „რა თქმა უნდა, კაბინეტმა უნდა აიღოს შუამავლის როლი კონფლიქტში მყოფ ინტერესებს შორის. საგარეო პოლიტიკის საქმეებში მან შეიძლება იშვიათად (თუკი საერთოდ შეუძლია მას ეს) მოახვიოს თავს საკუთარი ნება ვინმეს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ფლობს ელექტორალურ ძალაუფლებას. უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ მან საკუთარი პოლიტიკის მო-

დიფიცირება მოახდინოს კომპლექსური კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შედეგად მთავარ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან". სისტემები, რომლებიც მრავლობითი დემოკრატიის კომბინირებას ახდენენ კორპორაციულ პლურალიზმთან, მნიშვნელოვან უპირატესობებს ფლობენ, რაც, ჩემი აზრით, არ ექვემდებარება განსაზღვრებას. გარდა ამისა, ეს სისტემები დემოკრატიის თეორიისა და ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის საკმაოდ რთულ პრობლემებს წარმოშობენ, რომლებიც ასევე ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ამ მტკიცების დასაბუთება არ არის ძნელი. კორპორაციული პლურალიზმი, თუნდაც იმ სახეობისა, რომელიც როკანმა აღწერა ნორვეგიის მაგალითზე, პრაგმატულ, უტილიტარულ საფუძველზე არსებობს. მაგრამ ასეთი კორპორაციონიზმი დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფისკენ არის მიდრეკილი. შესაძლოა დემოკრატიის ჩვენეული გაგება ასე თუ ისე მოერგოს არსებულ პრაქტიკას, მაგრამ ამ მომენტისთვის, როგორც ჩანს, შეუძლებელია რამდენადმე დამაკმაყოფილებელი თეორიული ფორმულირების გამოძებნა, რომელიც უზრუნველყოფდა დემოკრატიული ლეგიტიმურობის მქონე კორპორაციონიზმს.

კორპორაციონიზმის სკანდინავიური ვარიანტი უფრო პრობლემის იდენტიფიკაციაა, ვიდრე მისი გადაჭრა (მოგვარება). მაგალითად, შეერთებული შტატები უფრო მეტად იმ ცენტრალიზებული და ნაციონალური მასშტაბის ორგანიზაციების ნაკლებობას განიცდის, რომლებიც შესაძლებელს ხდიან დემოკრატიული კორპორაციონიზმის სტრუქტურას შვედეთში, ნორვეგიაში, ნიდერლანდებსა და ავსტრიაში. აქ ეს პრობლემა სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს, მაგალითად, ცნობილ „რკინის სამკუთხედებში", რომლებიც კონგრესის კომიტეტებს, მის ბიუროკრატიასა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს აერთიანებს და რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღებისას.

ნაციონალურ შეთანხმებას, რომელიც კორპორაციულ სისტემებში წარმოიშობა, უფრო მეტად დრამატულ შედეგებამდე მივყავართ, მაგრამ ამ „რკინის სამკუთხედების" სტაბილურ მუშაობას ხანგრძლივმოქმედი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია და სრულიად მისაღებია საჯარო პოზიციიდან. ამრიგად, ამ ცვლილებამ, რომელმაც გააფართოვა დემოკრატიის სივრცე ქალაქსახელმწიფოსგან ნაცია-სახელმწიფოსკენ, იმავდროულად მონისტური დემოკრატია პლურალისტული დემოკრატიით ჩაანაცვლა.

პრაქტიკებისა და ინსტიტუტების ტრანსფორმაცია, რომელიც მასშტაბურ გარდაქმნებთან არის დაკავშირებული, თავისთავად დრამატულია და შორს მიმავალი შედეგები აქვს. შეიცვალა თავად დემოკრატიული თეორია. შეუძლებელი გახდა საზოგადოებრივი შეთანხმება, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოსთვის შეუქცევადად ცვალებად სივრცეში. ამ თვალსაზრისით, ამ მოვლენამ ჭეშმარიტად რევოლუციური ზემოქმედება იქონია. ტოკვილმა წამოაყენა იდეა, რომლის მიხედვითაც თანამედროვე სამყაროში დემოკრატიისთვის შესაბამისი ადგილი სწორედ დიდი ნაცია-სახელმწიფოებია და არა პატარა ქალაქ-სახელმწიფოები. მისი შემდგომი თაობა კი არა მხოლოდ შეიარაღდა ამ იდეით, არამედ საკუთარი აზროვნების მთავარ საფუძვლადაც კი აქცია იგი. მაშასადამე, დემოკრატიულ თეორიას მსხვილმასშტაბიანი დემოკრატიული რეალობის გათვალისწინებით გარკვეული კორექტივები ესაჭიროება. კლასიკურ-დემოკრატიულ მტკიცებულებათა მონისტური დებულებები მსხვილმასშტაბიანი დემოკრატიის პლურალისტულ სინამდვილეს ეჯახება და ხშირად თეორია არაადეკვატურია ხოლმე როგორც აღწერილობით, ასევე ნორმატიულ თვალსაზრისებთან.

შესაძლებელია პოლიარქიის განხილვა რეჟიმის ერთ-ერთი სახეობადაც, რომელსაც ნაცია-სახელმწიფო მართავს. მასში საზოგადოებრივ საქმეებზე ძალაუფლება და ავტორიტეტი განაწილებულია ორგანიზაციებსა და ასოციაციებზე, რომლებიც საკმაოდ ავტონომიურები არიან არა მხოლოდ ერთმანეთთან მიმართებაში, არამედ ხშირად სახელმწიფოს მმართველობით საქმიანობასთან მიმართებითაც.

ეს ფარდობითად ავტონომიური კავშირები მოიცავენ არა მხოლოდ ორგანიზაციებს, რომლებიც ლეგალურად ყალიბდებიან და სახელმწიფო მმართველობის ობიექტებს წარმოადგენენ, არამედ იმ ორგანიზაციებსაც, რომლებიც, ასე ვთქვათ, „კერძო“ ინსტიტუციებს წარმოადგენენ (ეს ტერმინი ბევრს შეიძლება აქ უადგილოდ მოეჩვენოს). ეს ნიშნავს, რომ ისინი რეალურად სრულიად დამოუკიდებლები არიან სახელმწიფოსგან თუ ყველაფერში არა, ყოველ შემთხვევაში, მთავარში მაინც.

პოლიარქია სხვა მხრივაც განსხვავდება კლასიკურ-მონისტური დემოკრატიისგან - ეს არის ავტონომიური ორგანიზაციების ფუნქციები, ძალაუფლება და ლეგიტიმურობა საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიარქია ავტორიტარული რეჟიმებისგანაც განსხვავდება შემდე-

გი ორი პუნქტით: 1. პოლიარქიის ინსტიტუტებით, რომლებიც არცერთ ავტორიტარულ რეჟიმში არ არსებობს და რომლებიც უზრუნველყოფენ საკმაოდ დიდ სივრცეს დემოკრატიული პროცესისათვის; 2. ორგანიზაციული პლურალიზმის მასშტაბით, რომელიც ნათლად განასხვავებს, ერთი მხრივ, პოლიარქიას მონისტური ავტორიტარული რეჟიმებისგან ანუ ტოტალიტალური სისტემებისგან, და, მეორე მხრივ, ჯონ ლინცის გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, შეზღუდული პლურალიზმის ავტორიტარული რეჟიმებისგან. მონისტური დემოკრატიის იდეალთან შედარებით, რომელიც კლასიკური ათენიდან რუსომდე არსებობდა, ორგანიზაციული სუბსისტემებისა და სუბმმართველობების ძალაუფლება და ავტორიტეტი, დემოკრატიული თვალსაზრისით, ნაკლებად არის მნიშვნელოვანი.

თუმცა პარადოქსულია (ან შესაძლოა არც იმდენად პარადოქსული), რომ ჩვენს სამყაროში მონიზმის თეორია და პრაქტიკა ყველაზე კარგად ავტორიტარულ რეჟიმებშია წარმოდგენილი. თუკი თანამედროვე სამყაროში პოლიარქიის ყველაზე აშკარა ალტერნატივად გვევლინება არა ქალაქ-სახელმწიფოს დემოკრატია, არამედ ავტორიტარიზმი, მაშინ, დემოკრატიის პერსპექტივის თვალსაზრისით, პოლიარქიისა და პლურალიზმის არასრულყოფილი სისტემები უფრო მიმზიდველად გამოიყურება. რადგან თუ იდეალურ მონისტურ დემოკრატიასთან შედარებით პოლიარქიისა და პლურალიზმის სუბსისტემები ვეებერთელად და მოუხერხებლად გვეჩვენება, ავტორიტარული რეჟიმების მონიზმთან და შეზღუდულ პლურალიზმთან მიმართებაში საქმე სხვაგვარადაა.

ავტორიტარული რეჟიმები შეზღუდულები აღმოჩნდებიან ხოლმე თავიანთ ძალაუფლებაში პირველ ყოვლისა პოლიარქიის ინსტიტუტებით. ამრიგად ის, რომ ორგანიზაციის ძალაუფლება და ავტორიტეტი შეზღუდულია, სულ მცირე, ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, რომელიც ნათელი მინიშნებაა, თუ რატომ აქვთ საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციებს ავტონომიის ისეთი ხარისხი, რომელსაც ისინი ფლობენ. მეორე მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც დავრწმუნდით, ეს ორგანიზაციები აუცილებელია მნიშვნელოვანი მასშტაბის დემოკრატიისთვის. გარდა ამისა, დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია ადრეულ პლურალისტთა შეხედულებები: შედარებითი ავტონომიურობა აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისა და სათანადო სოციალურ-პოლიტიკური წყობისათვის. ამის გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია.

ამიტომ მათი არსებობა ისეთივე საფუძვლიანია, მორალურია და პრაქტიკულია, რამდენადაც თვით სახელმწიფოს არსებობა. საზოგადოებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების რთული სისტემა, რომელშიც ისინი მონაწილეობენ, ხშირად განიხილება როგორც ძალზე მოხერხებული უტილიტარული აზრით, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მოხერხებული ნებისმიერ სხვა ალტერნატივასთან შედარებით. თუმცა არსებობს კიდევ ერთი, უკანასკნელი, მიზეზი - პოლიარქიის პირობებში ნებისმიერი მთავრობისთვის მეტად რთულია ხელყოს როგორც მრავალი მნიშვნელოვანი ორგანიზაციის ავტონომია, ასევე მათი ავტორიტეტული მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში. მიუხედავად ამისა, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ უკვე ვიპოვეთ დამაკმაყოფილებელი გზა პლურალიზმსა და დემოკრატიას შორის არსებული დაძაბულობის მოსახსნელად, რომელიც ამჟამად არსებობს როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. დემოკრატიული პლურალიზმის ანომალია, რომელზედაც ოციოდე წლის წინ წინასწარმეტყველურად მიუთითა ნორვეგიელმა სტეინ როკანმა, აქამდე არ არის დაძლეული (მოგვარებული): ითვლიან ამომრჩეველთა ხმებს, მაგრამ ხშირად მაინც ორგანიზაციული რესურსები წყვეტენ საქმეს.

თარგმნა

დავით თინიკაშვილმა

შენიშვნები:

1. ჩარლზ ლინდბლომი - ამერიკელი პოლიტოლოგი.

2. vivere civile - (ლათ.) სამოქალაქო ცხოვრება.

3. სტეინ როკანი (1921-1979) - ცნობილი ნორვეგიელი პოლიტოლოგი.

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=period&cl=CL4.9&d=HASH011de3e44940bfc9b51f5575.7

სოლიდარობა 2009 №5(32)

დემოკრატია, პოლიარქია და თანამონაწილეობა

(რობერტ ა. დალი. დემოკრატია და მისი კრიტიკოსები. თავი 16)

ერთ-ერთი შედეგი იმისა, რომ დემოკრატია გასცდა ქალაქ-სახელმწიფოს ფარგლებს და დამყარდა ეროვნული სახელმწიფოს მასშტაბით, იყო მოქალაქეთა კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შეზღუდვა. თუნდაც თეორიულად უფრო მცირე პოლიტიკურ წარმონაქმნში თანამონაწილეობის ხარისხი უფრო მაღალია. მიუხედავად ამისა, დღეს მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობის ამგვარი შეზღუდვა, როგორც წესი, ბუნებრივად აღიქმება. მაგრამ საბოლოოდ უარის თქმა მის დაძლევაზე დემოკრატიული მმართველობის ფორმებისა და ინსტიტუტების შექმნის ან ანტიკური ტრადიციების აღდგენის გზით დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამიტომ დემოკრატიის მომხრეთა ნაწილი გაბატონებული ტენდენციის საწინააღმდეგოდ კვლავ რჩება პარტისიპატორული (სრული თანამონაწილეობის) დემოკრატიის პრინციპის ერთგულად და ხშირად უბრუნდება დემოკრატიის უწინდელბ გაგებას, რომელიც აისახა რუსოს "სოციალურ კონტრაქტში" და ძველი საბერძნეთის დემოკრატიაზე არსებულ წარმოდგენებში (ვგულისხმობთ იდეალიზირებული პოლისის ხატს, რომელიც საკმაოდ დაშორებულია ისტორიულ სინამდვილეს).

ამ თემასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის განხილვა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დიალოგი ჟან -ჟაკ რუსოსა და ჯეიმზს შორის.

ჯეიმზი: მე ხშირად შემინიშნავს ჟან ჟაკ, რომ თქვენ სარგებლობთ თანამედროვე დემოკრატიის ყველა უპირატესობით, მათ შორის უფლებით _ ილაპარაკოთ ყველაფერი, რაც მოგესურვებათ, უფლებით, რომელსაც განსაკუთრებით აფასებთ, რაკიღა მას ძალზე ხშირად იყენებთ, მაგრამ ამავე დროს გახასიათებთ დემოკრატიის ინსტიტუტების და მიღწევების დაკნინების ტენდენცია. მე ზოგჯერ ვფიქრობ, რომ დემოკრატიას მთავარ საფრთხეს უქმნიან არა მისი ოპონენტები, არამედ უტოპისტი მომხრეები. თქვენისთანა მომხრეები...

ჟან ჟანკი: დემოკრატიას არ სჭირდება მტრები. თქვენისთანა ღირსეული პიროვნებისგან ჯეიმზ, არ მოველოდი აკრძალული ილეთის ხმარებას. მე კრიტიკულად ვაფასებ იმას, რასაც თქვენ "თანამედროვე დემოკრატიას" უწოდებთ, ვინაიდან ის არ არის და არც შეიძლება იყოს საკმარისად დემოკრატიული. უმჯობესი ხომ არ იქნე-

ბოდა, საგნებისათვის თავისი სახელი გვეწოდებინა და გვეღიარებინა, რომ თანამედროვე დემოკრატია ოლიგარქიაა?

ჯეიმზი: მაპატიეთ, მე არ მსურდა თქვენთვის შეურაცხყოფა მომეყენებინა. მე ჩემი შენიშვნა სავსებით სამართლიანად მიმაჩნია. მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ ჯერ-ჯერობით გიჭირთ მისი გათვალისწინება. ამიტომ, გთხოვთ, დღეს თქვენ გამაკრიტიკოთ, მე კი თავს დავიცავ.

ჟან ჟაკი: გმადლობთ. განა ცხადი არ არის, რომ ის რასაც თქვენ პოლიარქიას უწოდებთ, არის არა რეალური დემოკრატია, არამედ უგვანი ფსევდოდემოკრატია?

ჯეიმზი: მაპატიეთ, მაგრამ მე აღმოვაჩინე, რომ ჩვეულებრივ "რეალური დემოკრატია" ნიშნავს არარეალურ დემოკრატიას ან რეალურ ჩაგვრას, ხშირად კი ორივეს. მაგრამ მე მსურს მოვისმინო თქვენი განმარტება და დაგისვათ კითხვა, რომელსაც უთუოდ ელით: რატომ მიგაჩნიათ პოლიარქია უგვან ფსევდოდემოკრატიად?

ჟან ჟაკი: იმიტომ, რომ შეუძლებელია მმართველობის სისტემა ქვეყნის მასშტაბით რეალურად დემოკრატიული იყოს. დემოკრატია კლასიკური გაგებით პირველყოვლისა, მართვის პროცესში მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობაა:

არაპარტისიპატორული დემოკრატია არის ფსევდოდემოკრატია. რამდენადაც რუსო ეყრდნობოდა ანტიკურ ტრადიციას, იგი ამტკიცებს, რომ მოქალაქეებს ნამდვილი სუვერენიტეტი გააჩნიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველ მათგანს შეუძლია გახდეს წევრი სუვერენული ასამბლეისა, რომელიც იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ამიტომ მოქალაქეთა რიცხოვნობა და სახელმწიფოს ტერიტორია უნდა იყოს მცირე. როგორც მან აღნიშნა, რაც მეტია მოქალაქეთა რიცხოვნობა, მით ნაკლებია თითოეულის მონაწილეობა მართვაში. დიდ სახელმწიფოში ცალკეული მოქალაქე ფაქტობრივად არაფერს წყვეტს. რუსო წერს: "ინგლისელებს თუ მიაჩნიათ რომ თავისუფალნი არიან, აშკარად თავს იტყუებენ. ისინი თავისუფალნი მხოლოდ პარლამენტის წევრთა არჩევის დროს არიან. როგორც კი მათ აირჩევენ, მონებად, არარაობებად იქცევიან".. მესმის, რომ ვინც მხოლოდ პოლიარქიას იცნობს, ეს აზრი ეუცხოვება, მაგრამ ათენელები მას სავსებით გაიზიარებდნენ.

ჯეიმზი: მე არ მინდა გადავუხვიო თქვენს მიერ არჩეულ თემას და დავიწყო დაუსრულებელი დისკუსია იმაზე, თუ რას გულისხმობდა სინამდვილეში რუსო, თუმცა ასეთი დისკუსიების მოყვარულებიც არსებობენ. ამიტომ არ შევჩრდები მის "საზოგადოებრივ ხელშეკრუ-

ლებაში" მოცემული დემოკრატიის მცდარ კონცეფციაზე, როლის თანახმად "დემოკრატიის" პირობებში ხალხი არა მხოლოდ უნდა იღებდეს კანონებს, არამედ ახორციელებდეს მათ. მისივე აღიარებით, ასეთი დემოკრატია არასოდეს არსებულა და არც არასოდეს იარსებებს. "რომ არსებულიყო ისეთი ხალხი, რომელშიც ყველა ღმერთი იქნებოდა, მასში დემოკრატია თავისთავად დამყარდებოდა. ასეთი სრულყოფილი მმართველობა ადამიანებისთვის შეუფერებელია". ამაში ის სავსებით მართალია. მაგრამ ის, რასაც რუსო რესპუბლიკას უწოდებს, ჩვენ პირდაპირ, ან უფრო ზუსტად, ასოცირებულ დემოკრატიას ვუწოდებთ. მე არც იმაზე შევჩერდები, რომ მან წარმომადგენლობითი დემოკრატია აბსოლუტურად მიუღებელ სისტემად მხოლოდ "საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში" შეაფასა. მანამდეც და შემდეგაც, რუსო მას მმართველობის გონივრულ ფორმად მიიჩნევდა. ვფიქრობ, მისთვის ცხადი იყო რომ წარმომადგენლობითი სისტემის გარეშე პოლონეთში და კორსიკაზე რესპუბლიკური მმართველობა ვერ დამყარდებოდა.

ჟან ჟაკი: ვაღიარებ, რომ ციტატები რუსოსდან არგუმენტად არ გამოდგება. მე რუსო არ მიხსნებია იმისთვის, რომ მისი ავტორიტეტი მომეშველიებინა., რითაც, ცხადია, ვერაფერს დავამტკიცებდი, თუმცა, ფაქტია, რომ ეს არგუმენტირების ჩვეულებრივ ფორმად იქცა. უბრალოდ, მე სავსებით სწორად მიმაჩნია მისი აზრი, რომ პოლიტიკური თანამონაწილეობის ხარისხს ამომრჩეველთა რიცხოვნება განსაზღვრავს.

ჯეიმზი: შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მე ვიზიარებ ამ აზრს. მე საერთოდ შეუძლებლად მიმაჩია იმის უარყოფა, რომ მოქალაქეთა შესაძლებლობა ყოველგვარი უშუალო მონაწილეობისა კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებაში, არჩევნებში მონაწილეობის გარდა, დამოკიდებულია მათ რიცხოვნებაზე. სწორედ ამის გამო, დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების მომხრეებს მმართველობის საუკეთესო ფორმად წარმომადგენლობითი სისტემა მიაჩნიათ. მართლაც, წარმომადგენლობითი სისტემა არის ზემოხსენებული პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა.

ჟან ჟაკი: მაგრამ თქვენც ხომ აღიარებთ, რომ წარმომადგენლობითი სისტემა ვერ წყვეტს თანამონაწილეობის პრობლემას? თქვენ ხომ ის იგულისხმეთ, რომ ეს პრობლემა დიდ სახელმწიფოში ვერ გადაწყდება? გამოდის რომ თანამონაწილეობის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მცირერიცხოვან მოქალაქეთა ერთობლიობაში.

ჯეიმზი: როგორც ჩანს, თქვენ და ასოციაციური დემოკრატიის სხვა მოხრეებს არ გსურთ დაინახოთ ის რომ თქვენი არგუმენტი თქვენსავე კონცეფციას ანგრევს. მე ზემოთ ვაღიარე, რომ მოქალაქეთა რიცხოვნების ზრდას მოსდევს მათი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის შეზღუდვა. ეს ხდება თუნდაც დროის ფაქტორის გამო. ამის მარტივი გამოთვლა გვიჩვენებს _ თუ ათი მოქალაქე შეიკრიბება ხუთი საათით, რაც ასეთი შეკრებებითვის ძალზე დიდი დროა, მისი დანაწილების შემთხვევაში თითოეულ მოქალაქეს გამოსვლის, საპარლამენტო მანევრებისა და ხმის მიცემისათვის მხოლოდ ოცდაათი წუთი მიეცემა. პარტისიპატორული დემოკრატიის ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ მცირე კომიტეტები, ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ ადამიანები, რომლებიც სხვა საქმეებითაც არიან დაკავებულნი, არ ისურვებენ მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის ხუთსაათიან სხდომებში. მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ თქვენ და რუსო კომიტეტის ფუნქციონირებას სახელმწიფოს მართვასთან აიგივებთ.

ჟან ჟაკი: სახელმწიფო, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია და ასოციაცია დემოკრატიულად უნდა იმართებოდეს.

ჯეიმზი: ეს უდავოდ ასეა. მაგრამ დავუბრუნდეთ თანამონაწილეობის არითმეტიკას. თუ კომიტეტის მასშტაბებს გავცდებით, რიგით მოქალაქეთა მართვაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა უკიდურესად შეიზღუდება. მაგალითად, თუ კომიტეტის სხდომის ხანგრძლივობა კვლავ ხუთი საათით განისაზღვრება, მასში მონაწილე მოქალაქეთა რიცხოვნება ასს გადააჭარბებს. თითუეულს მიეცემა მხოლოდ სამი წუთი, ხოლო თუ მათი რიცხოვნება სამასს მიაღწევს თითოეულის განკარგულებაში იქნება არაფრისმომცემი ერთი წუთი. ძველ ათენში იმ მოქალაქეთა რიცხოვნება რომლებიც აგორაზე იკრიბებოდნენ, ძალზე უხეში გამოთვლებით, უდრიდა ოც ათასს. ექსპერტთა შეფასებით რეალური ციფრი ორჯერ ან სამჯერ მეტი უნდა ყოფილიყო. თუნდაც ოცათასიან კრებაზე თუკი ისიც ხუთ საათს გასტანდა, დროის თანაბრად განაწილების შემთხვევაში, თითოეულ მოქალაქეს ერთ წამსაც კი ვერ გამოუყოფდნენ.

ჟან ჟაკი: ახლა კი ჯეიმზ მე დავთვლი. მე ვიცნობ ამგვარ გამოთვლებს, მაგრამ ისინი ხომ არაკორექტულია? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ შეუძლებელია რომ ყველას სურდეს სიტყვით გამოსვლა. შეუძლებელია რომ ოცდაათ ათასიან კრებაზე ყოველ მოქალაქეს განსახილველ საკითხზე განსხვავებული აზრი ჰქონდეს. მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ კრებას წინ უძღოდა დისკუსია, რომელიც მიმდინარეობდა კვირეების ან თვეების განმავლობაში. ამიტომ რეალურ-

ად კრებაზე რეალური განხილვის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ ორი-სამი ალტერნატივა. ასე რომ, ათი ორატორიდან, თითოეულისათვის საკუთარი არგუმენტების წამოსაყენებლად ნახევარი საათის მიცემა საკმარისზე მეტია. თუ ნახევარ – ნახევარი საათი ხუთ ორატორს მიეცემა, მაშინ დარჩება დრო კითხვებისა და სხვათა გამოსვლებისთვისაც. ვთქვათ, კამათში მონაწილეს ხუთი წუთი მიეცა, მაშინ გამომსვლელთა რიცხოვნება ოცდაათით გაიზრდება.

ჯეიმზი: ძალიან კარგი. ახლა ვნახოთ თქვენს მიერ მოტანილი მაგალითი რაზე მეტყველებს. თქვენს კრებაზე საკუთარი პოზიციის სათანადოდ წარმოჩენის შესაძლებლობა ეძლევა ოცდათხუთმეტ მოქალაქეს. რა შეუძლიათ დანარჩენებს? მათ შეუძლიათ მხოლოდ გამოსვლების მოსმენა, მოსმენილის გააზრება და ხმის მიცემა. ამგვარად, ოცდაათათასიანი კრების აქტიური მონაწილენი ორ მეათედ პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ. 99,8 %-ზე მეტი კი იფარგლება მსმენელისა და კენჭისყრის მონაწილის როლით! ეს არის თქვენი პარტისიპატორული დემოკრატიის დიდი უპირატესობა?

ჟან ჟაკი: ვფიქრობ, რომ ეს მოსაწყენი გამოთვლები არაფერს იძლევა. თქვენ ციფრებით მანიპულირებას ახდენთ. კომპიუტერული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, შეგიძლიათ, როგორც ნაგვის შეტანა, ასევე გამოტანაც.

ჯეიმზი: ეს მარტივი გამოთვლები შესაძლოა მართლაც მოსაწყენია, მაგრამ საქმე ის არის, რომ პარტისიპატორული დემოკრატიის მომხრეებს არ სურთ დანახვა იმისა, რასაც ეს გამოთვლები გვიჩვენებენ. მე უბრალოდ ვთხოვ "მართლმორწმუნეებს" (პარტისიპატორული დემოკრატიის რადიკალურ მომხრეებს) გაიაზრონ საკუთარი გამოთვლების შედეგები. ან თუ ისინი ამას გააკეთებენ, აუცილებლად მივლენ დასკვნამდე, რომ დემოკრატიული სისტემა, რომლის პირობებში საზოგადოების წევრთა უმრავლესობას ეძლევა სრული შესაძლებლობა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა, შეიძლება დამყარდეს მხოლოდ ძალზე მცირერიცხოვან ერთობლიობაში. მოცემულ შემთხვევაში ზუსტ ციფრებზე საუბარი შეუძლებელია. მაგრამ არა მგონია რომ თქვენ დემოკრატია მიგაჩნდეთ სისტემად, რომელიც რამდენიმე ასეულ ადამიანსაც კი ვერ გასწვდება. ვფიქრობ, არც იმას ჩამითვლით გადაჭარბებად, თუ ვიტყვი, რომ ამ სისტემის ფუნქციონირება შესაძლებელია ათასიანი და ათიათასიანი პოლიტიკური კორპუსების პირობებშიც. ნებისმიერ შეკრებაზე მოქალაქეთა უმრავლესობის მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაში შემოიფარგლება ორატორთა მოსმენით, მოსმენილის გააზრებით და ხმის მიცემით ანუ იმით, რა-

საც ისინი წარმომადგენლობითი სისტემის პირობებშიც აკეთებენ. ხალხმრავალი კრება, რომელსაც სულ ცოტა ათასი კაცი მაინც ესწრება, არსებითად წარმომადგენლობითი სისტემის ერთ-ერთი ფორმაა, რადგან მხოლოდ რამდენიმე ორატორს ეძლევა საშუალება გამოვიდეს კრების მონაწილეთა სახელით. მაგრამ ამ შემთხვევაში სამართლიანი წარმომადგენლობის წესები არ მოქმედებს _ გამომსვლელებად – წარმომადგენლებად შეიძლება აირჩიონ ისინი, ვინც ამას აშკარად არ იმსახურებს. თქვენი სისტემა სრულყოფილი წარმომადგენლობითი სისტემისგან მხოლოდ მასში ამგვარი წესების არ არსებობით განსხვავდება. ცხადია, რომ გამოსავალი ისეთი სისტემის შექმნაა, რომელიც ყოველ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, აირჩიოს თავისი ინტერესების წარმომადგენელი და თავადაც არჩეულ იქნას საზოგადოების წარმომადგენლად. ან თუნდაც, წარმომადგენელთა ღია კენჭისყრით არჩევის სისტემისა, რომელსაც თქვენ ემხრობით. ორივე ვარიანტი გულისხმობს უარის თქმას უფრო სამართლიან სისტემაზე, რომლის შექმნას თქვენ ცდილობთ, რათა თავიდან აიცილოთ წარმომადგენლობითი მმართველობა.

ჟან ჟაკი: მაგრამ პრობლემის ჩემეულ და თქვენეულ გადაწყვეტას შორის მაინც რჩება ერთი არსებითი განსხვავება. წარმომადგენლობით სისტემაში პოლიტიკურ კურსს ხმას აძლევენ წარმომადგენლები. პირდაპირი დემოკრატია მართლაც არ იძლევა ორატორთა რაციონალურად არჩევის კრიტერიუმებს. სამაგიეროდ ის გულისხმობს პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში ყველა მოქალაქის მონაწილეობას. ამდენად ამ სისტემაში მოქალაქეთა როლი გადაწყვეტილებათა მიღებაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმომადგენლობითი მმართველობის პირობებში.

ჯეიმზი: მე ამას არ უარვყოფ. მაგრამ მიკვირს, რომ თქვენ არ ჩაუფიქრდით იმას, თუ რატომ მიიჩნია რუსომ დემოკრატია, რომელიც მას მცდარად ესმოდა, განუხორციელებელ სისტემად. შეუძლებელია მოქალაქეებს მოსთხოვო, რომ მათ მთელი ან თუნდაც ძირითადი დრო კრებებს დაუთმონ. ადამიანებმა თავიანთი მთავარი საქმე უნდა აკეთონ. წარმომადგენლობითი სისტემა, რომელიც არჩევნების პერიოდულად ჩატარებას გულისხმობს, ამის საშუალებას იძლევა. დემოკრატიის ქვეშ თქვენ ხომ არ გულისხმობთ პასტორალურ საზოგადოებას, სადაც მთავრობის მუშაობის შეჯამება ყოველთვიურად სახალხო კრებაზე ხდება?

ჟან ჟაკი: არა, არ ვგულისხმობ. პარტისიპატორული დემოკრატია დამყარებულია ისრაელის კიბუცებში, კიბუცები კი არის

სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც სოფლის მეურ-ნეობის, ასევე მრეწველობისა და საბაზრო ურთიერთობების განვითა-რებას.

ჯეიმზი: თქვენ ფიქრობთ, რომ პარტისიპატორული დემოკრატი-ის დასამყარებლად უნდა შეიქმნას საზოგადოება, რომელიც კიბუცე-ბის ტიპის კომუნებისგან შესდგება და ასეთ საზოგადოებაში ადამიან-ებს ექნებათ უფლება უარი თქვან კომუნებში მუშაობაზე? რამდენა-დაც ვიცი ასეთ საზოგადოებას არასოდეს არ უარსებია. ისრაელშიც კი მოსახლეობის 95% უარი თქვა კიბუცებში ცხოვრებაზე. ვერცერთ ქვეყანაში ნებაყოფლობით შექნილ კომუნებში ცხოვრების პერსპექტი-ვამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ მოხიბლა. ჩვენთვის ცნობილი ჩინური კომუნები აშკარა ძალდატანებით შეიქმნა და რო-დესაც ხელისუფლებამ უარი თქვა კომუნებში სოფლის მოსახლეობის იძულებით გაწევრიანებაზე, მათში დარჩენა არავინ ისურვა.

ჟან ჟაკი: ადამიანებმა შეიძლება რაღაც ახალი გამოიგონონ. კო-მუნა ნამდვილად არ არის ერთადერთი შესაძლებელი მოდელი. თანა-მონაწილეობის პრინციპი შეიძლება განხორციელდეს ქალაქის მასშ-ტაბით, საწარმოო კოოპერატივებში და სხვა.

ჯეიმზი: ქალაქის მასშტაბით? ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა განვას-ხვავოთ პარტისიპატორული დემოკრატიის ორი პრინციპულად გან-სხვავებული კონცეფცია. "მართლმორწმუნეთა" თანახმად, დემოკრატია უნდა განხორციელდეს სრულად, ყველა დონეზე. ჩვენი გამოთვლები-დან კი გამომდინარეობს, რომ ასე შეიძლება იმართებოდეს მხოლოდ მცირე და სავსებით ავტონომიური ერთეულები. ერთეულების რიც-ხოვანების მნიშვნლოვანი ზრდა ამ შემთხვევაში დაუშვებელია, ვინა-იდან შენარჩუნება სისტემისა, რომელიც უზრუნველყოფს თანამონაწი-ლეობის მაღალ ხარისხს, შეუძლებელი ხდება. ჩემი აზრით, ზემოთხ-სენებული მიდგომა აბსოლუტურად უტოპიურია. პარტისიპატორული დემოკრატიის მეორე ფრთის, ზომიერების თანახმად, მხოლოდ ზოგი-ერთი პოლიტიკური ერთეული შეიძლება იმართებოდეს სრული თა-ნამონაწილეობის პრინციპით, ხოლო იმ ერთეულებში, სადაც მათი სიდიდის გამო ასოციაციური დემოკრატია ვერ დამყარდება, უნდა ფუნქციონირებდეს წარმომადგენლობითი სისტემა. თუ დიდ სახელ-მწიფოებში დემოკრატიული პროცესის მიმდინარეობას მართლაც პო-ლიარქიის ინსტიტუტების არსებობა განაპირობებს, მაშინ ასეთი სა-ხელმწიფოები პოლიარქიებს უნდა წარმოადგენდეს. თქვენ თანამონა-წილეობის პრობლემის გადაწყვეტის რომელ ვარიანტს ემხრობით?

ჟან ჟაკი: ცხადია პირველს, თუმცა უახლოეს მომავალში მის განხორციელებას არ ველი.

ჯეიმზი: მე თქვენგან სწორედ ასეთ პასუხს ველოდი. მაგრამ ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია სამყაროს გარდაქმნა თქვენი იდეალის შესაბამისად. ამას ბირთვული იარაღის გამოყენებით თუ მიაღწევთ. არა მგონია რომ ეს გზა თქვენთვის მისაღები იყოს. დავუშვათ რომ ღვთის ნებით პლანეტის დღევანდელი მოსახლეობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში მსოფლიო დაიყო ძალზე მცირერიცხოვან პოლიტიკურად ავტონომიურ ერთეულებად, რომლებიც იმართება როგორც ასოციაციები, რითაც მიიღწევა მოქალაქეთა მართვაში თანამონაწილეობის მაღალი ხარისხი. ზემოთმოტანილი ციფრებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში მსოფლიოში იარსებებდა ათასობით ან ათიათასობით მცირე პარტისიპატორული დემოკრატია, იმისდა მიხედვით, თუ რა იქნებოდა პოლიტიკური ერთეულების მოსახლეობა.

ჟან ჟაკი: ვფიქრობ, რომ ღმერთი, რომელიც ასეთ ვითარებას ქმნის, ისევე საეჭვოა, როგორც თქვენი სახით მოვლენილი ღმერთი. თუმცა თქვენ შეგიძლიათ ითამაშოთ ეს თამაში, თუკი ის სიამოვნებას განიჭებთ. განაგრძეთ.

ჯეიმზი: მე პატივს ვცემ თქვენს გაბედულებას. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ერთ პოლიტიკურ ერთეულში გაერთიანებული ადამიანები უპირისპირდებიან მეორე პოლიტიკურ ერთეულში გაერთიანებულ ადამიანებს, ან კრავენ კავშირს მეზობლებთან ან ვთქვათ, უფრო მრავალრიცხოვანნი არიან და მათს შემოერთებას ცდილობენ. ამის შედეგად წარმოიშვება პოლიტიკური ერთეული რომელიც სიდიდით და რესურსებით ყველა მოსაზღვრე პოლიტიკურ ერთეულს აღემატება, რისი წყალობითაც მისი მოქალაქეებისათვის მისაწვდომი ხდება იმპერიის ყველა სიკეთე და ისინი აგრძელებენ მცირერიცხოვანი მეზობლების დაპყრობის პოლიტიკას. მათი მცირე იმპერია იზრდება. მაგრამ ეს იმპერია მცირე გამონაკლისად რჩება მსოფლიოში, სადაც მხოლოდ ჯუჯა სახელმწიფოები არსებობენ. წარმოიდგინეთ რა გამაოგნებელი პერსპექტივები წარმოიშვება მზარდი იმპერიული სახელმწიფოს წინაშე. ადრე თუ გვიან ყოველი ჯუჯა სახელმწიფო მისი ლუკმა გახდება. ეს იმპერია შეიძლება შევადაროთ კაცს, რომელიც ჭამს ხამანწკებს, მიუხედავად იმისა რომ ეცოდება ისინი.

ჟან ჟაკი: ცხადია, ღვთის ნებით ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ თქვენს მიერ დახატული სურათი საოცრად არაბუნებრივი და უბადრუკია ანუ იგი არ სცდება გარკვეული კულტურული სტე-

რეოტიპების ფარგლებს. ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ იქნება იმპერიის წარმოშობა გარდაუვალი.

ჯეიმზი: მე არა მგონია რომ ეს გარდაუვალია. მაგრამ ამის საკმაოდ მაღალი ალბათობა არსებობს. ნუთუ თქვენ, ჟან ჟაკ ჩემი სცენარით მოვლენათა განვითარება შეუძლებლად მიგაჩნიათ მაშინ როდესაც ათენის, რომისა და მთელი კაცობრიობის გამოცდილება საპირისპიროზე მეტყველებს? იქნებ თქვენ მართლაც გსურთ, რომ ადამიანი იქცეს ღმერთად, აღადგინოს ედემის ბაღი და საბოლოოდ აღმოფხვრას ბოროტება.

ჟან ჟაკი: არა არ მსურს. და გთხოვთ მიწაზე დაბრუნდეთ. სტრატოსფეროს გაიშვიათებულმა ჰაერმა თქვენ რეალობის გრძნობა დაგაკარგვინათ. თქვენ ფიქრობთ, რომ დამოუკიდებლელი, თვითმმართველობის პრინციპით შექმნილ სახელმწიფოთა მოქალაქეები წინააღმდგობას არ გაუწევენ აგრესორებს? ეს ხომ გამორიცხულია! მცირე დემოკრატიები აუცილებლად შექმნიან თავდაცვით კავშირებს აგრესიული იმპერიის წინააღმდეგ.

ჯეიმზი: ცხადია ისინი ამას გააკეთებენ და ეს იქნება პირველი ნაბიჯი უფრო დიდი, პარტისიპატორული დემოკრატიისათვის მეტისმეტად დიდი სისტემის მიმართულებით. რამდენადაც ამ სისტემის შემქმნელები დემოკრატებად დარჩებიან და თანასწორობის პრინციპით იხელმძღვანელებენ. ისინი არამხოლოდ წარმომადგენლობით მმართველობას, არამედ პოლიარქიის ყველა ინსტიტუტსაც შექმნიან.

ჟან ჟაკი: იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება. მათთვის ამოსავალი იქნება სრული თანამონაწილეობისა და თანასწორობის პრინციპები. ისინი თავისუფალნი იქნებიან დიდი ეროვნული სახელმწიფოს ინსტიტუტების ინერციისაგან. ვფიქრობ, რომ ისინი იპოვნიან პოლიარქიებში არსებული თანამონაწილეობის შეზღუდვების დაძლევის გზას.

ჯეიმზი: ხომ ვერ მეტყვით თუ რა იქნება ეს გზა? მაგრამ მანამდე ვნახოთ, თუ სად მივედით. როდესაც თქვენ ამტკიცებთ რომ მთელი მსოფლიო უნდა შედგებოდეს განუსაზღვრელი რაოდენობის მცირე და აბსოლუტურად ავტონომიური სახელმწიფოებისაგან (ან უბრალოდ სრულიად ნებაყოფლობითი ასოციაციებისაგან), ალბათ პარტისიპატორული დემოკრატიისათვის მეტისმეტად დიდი ასოციაციების გარდუვალ წარმოშობასაც ითვალისწინებთ. მაგრამ ასეთი ასოციაციებიც ხომ რაღაცნაირად უნდა იმართებოდეს?

ჟან ჟაკი: ცხადია.

ჯეიმზი: ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თქვენ არჩევანის გაკეთება მოგიწევთ? ან უნდა აღიაროთ, რომ ამ ასოციაციების მმართველობის ფორმა იქნება არა სავსებით პარტისიპატორული დემოკრატია, არამედ მათი მასშტაბისათვის მაქსიმალურად დემოკრატიული, ან უნდა დაუშვათ შედარებით დიდი ასოციაციების არადემოკრატიულად მართვის შესაძლებლობა. თქვენ უთუოდ პირველ ალტერნატივას აირჩევთ, ვინაიდან მეორე თქვენი პოლიტიკური ფილოსოფიისთვის სრულიად უცხოა. თქვენ ფიქრობთ, რომ დიდ სახელმწიფოებში სრულყოფილი დემოკრატია ვერ დამყარდება, მაგრამ თუკი მათი სრული ლიკვიდაცია შეუძლებელია, უკეთესი იქნება რომ ისინი იყოს არა ანტიდემოკრატიული, არამედ შეძლებისდაგვარად დემოკრატიული. დიდ სისტემაში პოლიარქიის დემოკრატიული პროცესის მნიშვნელოვან ელემენტად აღიარება კი ნიშნავს მისი აუცილებლობის აღიარებას. ეს არის ჩემი საბოლოო დასკვნა. ვფიქრობ, ამაზე მაინც შევთანხმდებით.

ჟან ჟაკი: თქვენი დასკვნა შესაძლოა სწორია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს რომ პრობლემა ამოწურულია. თუნდაც იმის აღიარებიდან რომ დიდი სისტემის შექმნა სასურველია, პოლიარქია კი დემოკრატიულობის აუცილებელი პირობაა არ გამომდინარეობს, რომ ის არის დემოკრატიის საკმარისი პირობა.

ჯეიმზი: სავსებით გეთანხმებით. ასე რომ ჩვენ უკვე ორ საკითხზე შევთანხმდით.

ჟან ჟაკი: მაგრამ მე ვფიქობ, რომ ჩვენ ვერ ვთანხმდებით თანამონაწილეობის პრინციპის განხორციელების ხარისხის თაობაზე. დიდ სახელმწიფოებშიც კი პოლიტიკური თანამონაწილეობის შესაძლებლობანი აშკარად აღემატება იმას, რასაც თანამედროვე პოლიარქიის ინსტიტუტები გვთავაზობენ. დარწმუნებული ვარ, რომ პოლიარქიის ფარგლებში მაქსიმალური დემოკრატიზაციის მიღწევა შეუძლებელია. მაგრამ სავსებით შესაძლებელია რომ ვითარება შეიცვალოს და საზოგადოება პოლიარქიიდან უფრო მაღალი დონის დემოკრატიაზე გადავიდეს. ჩვენ უნდა ვეძებოთ დემოკრატიის ახალი ფორმა, რომელიც გააფართოებს მოქალაქეთა თანამონაწილეობისა და ხელისუფლების დემოკრატიული კონტროლის შესაძლებლობებს არა მხოლოდ მცირე პოლიტიკურ ერთეულებში, სადაც დემოკრატიული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობს, არამდ უფრო დიდ პოლიტიკურ კორპუსებშიც.

ჯეიმზი: მე ვიზიარებ თქვენს მიზნებს. მაგრამ საშუალებები, რომლებსაც გვთავაზობთ ჩემთვის მიუღებელია.

ჟან ჟაკი: მაშინ ორივემ ვიფიქროთ ამ პრობლემაზე. მაგრამ ჩვენ გადაჭრით უნდა უარვყოთ გულუბრყვილო აზრი, რომ ეროვნულ სახელმწიფოში არსებული პოლიარქიის ინსტიტუტები არის დემოკრატიის მწვერვალი.

ჯეიმზი: ამ საკითხზე ჩვენ თითქმის სრულ თანხმობას მივაღწიეთ და როგორც ჩანს, მოგვიწევს მსჯელობა იმაზე, თუ როგორი იქნება ფარგლები და შესაძლებლობები იმ დემოკრატიული სისტემისა, რომელშიც მომავალი თაობები იცხოვრებენ

რობერტ დალის ნაშრომები

- How Democratic is the American Constitution? (2001)
- On Democracy (1998), рус. пер. – О демократии (2000)
- Toward Democracy, a Journey: Reflections, 1940-1997 (1997)
- Democracy and Its Critics (1989), рус. пер. – Демократия и ее критики (2003)
- Democracy, Liberty, and Equality (1986)
- A Preface to Economic Democracy (1985)
- Dilemmas of Pluralist Democracy: Autonomy vs. Control (1982)
- Size and Democracy (1973) with Edward R. Tufte
- Polyarchy: Participation and Opposition (1971)
- After the Revolution?: Authority in a Good Society (1970)
- Pluralist Democracy in the United States: Conflict and Consent (1967)
- Democracy in the United States: Promise and Performance (1965)
- Politics, Economics, and Welfare: Planning and Politico-Economic Systems Resolved Into Basic Social Processes (1963) with Charles E. Lindblom
- Who Governs? Democracy and Power in an American City (1961)
- A Preface to Democratic Theory: How Does Popular Sovereignty Function in America? (1956)
- Congress and Foreign Policy (1949)